

ენათმეცნიერება

მარინა მეფარიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

შენიშვნები არაბული რედუპლიცირებული ზმნური ძირების თაობაზე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არაბული რედუპლიცირებული ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები, აგრეთვე რედუპლიცირებული და ორთანხმოვნიანი ზმნური ძირების ურთიერთმიმართების საკითხები. არაბულ ენობრივ მასალაზე ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო განსახილველი ძირების ურთიერთმიმართების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები. რედუპლიცირებული ზმნური ძირების ფორმირებისათვის გამოყენებულია ორი ძირეული თანხმოვანი ფონემის გაორმაგება. წარმოების აღნიშნული მოდელი ძალზე პროდუქტიულია არაბულში, ისევე როგორც სხვა სემიტურ ენებში. არაბული ენობრივი მასალის დეტალური კვლევის შედეგად მოძიებულ და გაანალიზებულ იქნა 349 ზმნური ძირი, როგორც ორთანხმოვნიანი გემინირებული 214 ერთეულის ოდენობით, ასევე ოთხთანხმოვნიანი რედუპლიცირებული 135 ერთეულის ოდენობით. ისინი გადანაწილდა სამ ჯგუფში, კერძოდ, გამოვლინდა ორთანხმოვნიანი 115 ერთეული, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ, ასევე მოიძებნა 36 ერთეული რედუპლიცირებული ძირებისა, რომელთაც, პირიქით, არ მოეპოვებათ შესაბამისი ორთანხმოვნიანი ძირები და ბოლოს, დადგინდა 99 ერთეული წყვილებისა, რომლებიც წარმოადგენილია როგორც ორთანხმოვნიანი, ასევე მათგან ფორმირებული რედუპლიცირებული ძირებით. განხილული ძირების სემანტიკური ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ორთანხმოვნიანი ძირები, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ, სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. რაც შეეხება რედუპლიცირებულ ძირებს. მათი უმრავლესობა ორ ვრცელ სემანტიკურ პლასტს მოიცავს, კერძოდ: ერთი ნაწილი ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემს, მეორე ნაწილი კი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური ზმნებია.

საკვანძო სიტყვები: რედუპლიცირებული ზმნური ძირები, არაბული ორთანხმოვნიანი და ოთხთანხმოვნიანი ძირების ურთიერთმიმართება, სემანტიკური მახასიათებლები

1. კვლევის თემა და მიზანი

წინამდებარე სტატიაში დეტალურადაა განხილული არაბული რედუპლიცირებული ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების ძირითადი სემანტიკური

მახასიათებლები, აგრეთვე ორთანხმოვნიანი და მათგან ნაწარმოები ოთხთანხმოვნიანი რედუპლიცირებული ზმნური ძირების ურთიერთმიმართების საკითხები. არაბულ ენობრივ მასალაზე ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო განსახილველი ძირების ურთიერთმიმართების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არაბულში დამკვიდრებული გასაანალიზებელი ერთეულების რაოდენობა საკმაოდ ბევრია. დეტალური კვლევა-ძიება ჩატარებულია ბარანოვის, ბიბერშტეინ-კაზიმირსკის და ჰანს ვერის არაბული ლექსიკონების გამოყენებით.¹ აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საკითხი უნდა განვიხილოთ საერთოსემიტურ კონტექსტში მონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინებით.

2. მრავალთანხმოვნიან ძირთა წარმომავლობა სემიტურში

ა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მრავალთანხმოვნიანი ძირების წარმომავლობისა და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი სემიტოლოგიაში საბოლოოდ გადაჭრილ პრობლემათა რიგს არ განეკუთვნება. საკითხის აქტუალობა განპირობებულია თავად სემიტური ძირის სპეციფიურობით, რადგან ძირის სემანტიკას განსაზღვრავენ თანხმოვანი ფონემები, ხოლო ხმოვნები როგორც რელაციური ელემენტები აზუსტებენ ძირის მნიშვნელობას, აგრეთვე გრამატიკულ კატეგორიებს გადმოსცემენ. ამ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს მრავალთანხმოვნიანი ძირების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენა, ამგვარი ძირების ფორმირების გზების განხილვა, მათი სტრუქტურული და სემანტიკური მიმართებების წარმოჩენა ორ და სამთანხმოვნიან ძირებთან, რამეთუ სწორედ ამ უკანასკნელთა სხვადასხვა ხერხით გაფართოების შედეგად არიან ისინი წარმოქმნილნი. ვიდრე ამ ხერხებს დავასახელებდეთ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სემიტური მორფოლოგიური სისტემისათვის ზმნურ სტრუქტურაში სამთანხმოვნიანობის დომინაცია საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. მეცნიერ სემიტოლოგთა უმრავლესობა ტრიკონსონანტიზმს სემიტური ენების ტიპოლოგიის ფუნდამენტურ ნიშნად წარმოაჩენს არა მხოლოდ მათი აბსოლუტური რიცხობრივი უპირატესობის გამო თანხმოვანთა სხვა რაოდენობის შემცველ ძირებთან შედარებით, არამედ სემიტურ მორფოლოგიურ სისტემაში მათი ფუნქციონირების გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ სემიტური ენების მორფოლოგია ჩამოყალიბდა სწორედ სამთანხმოვნიანობის საფუძველზე. სამთანხმოვნიანობის დომინაცია ზმნურ სტრუქტურაში სემიტური ენების ტიპოლოგიის ფუნდამენტურ ნიშნად იქცა. მნიშვნელოვანია და გასაზიარებელი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სემიტური ზმნის სისტემა აგებულია არა უპირატესად, არამედ მხოლოდ სამთანხმოვნიან ზმნათა ბაზაზე.²

¹ არაბული ენობრივი მასალის გასაანალიზებლად გამოყენებულია შემდეგი ლექსიკონები: X.K. Баранов, Арабско-русский словарь, Москва: «Советская Энциклопедия», 1970; H. Wehr, A Dictionary of Modern Written Arabic, edited by Milton Cowan, New York: Munster Ithaca, 1976; A. Biberstein-Kazimirski, Dictionnaire arabe-français. Paris, 1860.

² ამასთან დაკავშირებით იხ. Б. М. Гранде, Введение в сравнительное изучение семитских языков. Москва: Восточная литература РАН. 1972 с. 178. A. Heidel, The System of the Quadriliteral Verb in Akkadian. Chicago: University of Chicago Press. 1940. p.134; G.E. Weil, "Un Essai d'Analyse Quantifiée.

ბ. მოკლედ შევხვდეთ სემიტურ ენებში ოთხთანხმოვნიანი ძირების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებულ ხერხებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხთანხმოვნიანი ძირები ორი და სამთანხმოვნიანი ძირების სხვადასხვა ხერხით გაფართოების შედეგადაა ფორმირებული. ეს ხერხებია: ან ორთანხმოვნიანი ძირების რედუპლიკაცია, ან სამთანხმოვნიანი ძირების განვრცობა სხვადასხვა საშუალებებით, როგორიცაა: ბოლოკიდური თანხმოვნის გაორმაგება, პირველსა და მეორე, აგრეთვე მეორესა და მესამე რადიკალს შორის სონორის ჩართვა და სხვ.³ ამ ხერხთაგან სემიტურ ენებში ყველაზე პროდუქტიულია სწორედ ორთანხმოვნიანი ძირის რედუპლიკაცია, რაც ჩვენი ინტერესისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს.

3. რედუპლიცირებულ ძირთა წარმომავლობა სემიტურში.

მოკლედ შევხვდეთ სემიტურ ენებში რედუპლიცირებულ ძირთა წარმომავლობის საკითხს, აღვნიშნოთ მათი ფორმირების გზა, ამგვარ ძირთა სემანტიკური თავისებურებანი და წარმოვადგინოთ რამოდენიმე საილუსტრაციო მაგალითი სხვადასხვა სემიტური ენიდან.

ა. ფორმირება: საზოგადოდ, ოთხთანხმოვნიანი რედუპლიცირებული ზმნური ძირების ფორმირებისათვის გამოყენებულია ენობრივი ტიპოლოგიისათვის კარგად ნაცნობი ხერხი - ძირის განმეორება, სემიტური ენებისათვის ესაა ორი ძირეული თანხმოვანი ფონემის გაორმაგება ანუ ორთანხმოვნიანი ზმნური ძირების რედუპლიკაცია ($xy > xyxy$). წარმოების აღნიშნული მოდელი ძალზე პროდუქტიულია უკლებლივ ყველა სემიტურ ენაში. ამგვარი ძირები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მყარადაა დამკვიდრებული სემიტურ მორფოლოგიურ სტრუქტურაში. მათი სიმრავლით კი, პირველ რიგში არაბული გამოირჩევა.

ბ. შინაარსობრივი მახასიათებლები: რაც შეეხება მათ შინაარსობრივ მახასიათებლებს, აქ იკვეთება ორი ჯგუფი, კერძოდ: 1. მათი დიდი ნაწილი ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემს; 2. მეორე ნაწილი კი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური ზმნებია.

გ. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ მაგალითები სემიტური ენებიდან:

(1) მაგალითები, რომლებიც ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემენ; სახეზეა ინტენსივი - ენერგიული, ძალისმიერი მოქმედების აღნიშვნა:

ებრაული: bilbel (blbl) „შეაცბუნა, დააბნია“, dldel (dlld) „დაასუსტა გამოფიტა“, qilqel (qlql) „გააფუჭა“, tmtm (tmtm) „გონება დაუჩლუნგა“.

არაბული: bazbaza (bzbz) „ძალით წაართვა და თან წაიღო“, taktaka (tktk) „ფეხი დაადგა, ფეხით თელავდა“.

არამეული: bazbez (bzbz) „გაფლანგა, გაანიავა ქონება“.

Trilateralite Fonctionnelle ou Bilateralite Fondamentale. Des Racines Verbales Hébraïques“, Revue d'Histoire et de Philosophie Religieuses, №3-4, Strasbourg.1979. p. 284.

³ ვრცლად იხ. მ. გოცირიძე, მ. მეფარიშვილი, შენიშვნები სემიტური ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების თაობაზე. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XI, თბილისი, 2018, გვ. 32-33 და მ. მეფარიშვილი მრავალთანხმოვნიანი ზმნური ძირები სემიტურში, საიუბილეო კრებული „აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე - 90“, თბილისი, 2019, გვ. 243.

ჰარსუსი: damdama (dmdm) „შეხებით შეიგრძნობდა, ხელის ცეცებით მიდიოდა“.
ამჰარული: rabarraba (rbrb) „დაახვავა, ერთმანეთზე ზედ დააღაგა შემა“, dafaddafa (dfdf) „დალმომრეობდა, ძალას იყენებდა“;

ტიგრე dafdafa „გულდასმით რეცხავდა ტანსაცმელს, მთელი ძალით ჭმუჭნიდა რეცხვისას“.

(2) ამჟერად წარმოვადგინოთ ონომატოპოეტური ზმნური ძირები, რომლებიც გადმოსცემენ ადამიანის პირისა და ცხვირის მიერ წარმოებულ ბგერით ფიზიოლოგიურ პროცესებს, აგრეთვე გარე სამყაროს ხმების - ცხოველთა და ფრინველთა, ორი საგნის ხახუნით მიღებული ხმების, ფოთლების შრიალის და სხვ., ასევე ადამიანის არასამეტყველო ორგანოების მიერ გამოცემულ ბგერათა მიბაძვას. ილუსტრაციები:

ებრაული: liqleq „სვლეპდა“, hirher „ახველებდა, ყელს იხეხავდა“, pitpet „ყბელობდა, ლაყბობდა“, biqbeq „ბუყბუყებდა“, ri'reʿ „რაკრაკებდა, ჩუხჩუხებდა“, rišreš „შრიალებდა, შარიშურიობდა“, zimzem „ბზუოდა, ზუზუნებდა“.

არაბული: masmasa „წოვდა, წუწნიდა“ და „ყელს ივლებდა“, baqbaqa „განუწყვეტლივ ყბელობდა“, zamzama „ბურღლუნებდა, ლულლუნებდა“, barbara „ყვიროდა, ხმაურიობდა; ბუზღუნებდა, ბურღლუნებდა, ბუტბუტებდა“, baqbaqa „ბუყბუყებდა (ითქმის წყალზე)“, zamzama „გუგუნებდა, გრუხუნებდა, ხმაურს გამოსცემდა“.

ტიგრე: balbala „კაკუნობდა, ხმაურიობდა, გრუხუნებდა“.

ჰარსუსი: ġarġara „ხრიალებდა, ყელისმიერ ხმებს გამოსცემდა“, barbara „ლულლუნებდა, გაუგებარ ბგერებს გამოსცემდა“. ჰარსუსი: dafdafa „ჩქარ ტაშს სცემდა“, dagdaga „აკაკუნებდა, კაკუნით ხმაურიობდა“ და სხვ.⁴

4. განხილულ ძირთა რაოდენობრივი მაჩვენებლები არაბულში

ზემოთ მოკლედ შევეხეთ სემიტური ძირის პრობლემატიკას, მის სპეციფიურ ბუნებას, თანხმოვანთა დომინანტურ რაოდენობას, მრავალთანხმოვნიან ძირთა გენეზისს, მათი ფორმირების გზებს, საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ოთხთანხმოვნიანთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან რედუპლიცირებულ ძირებზე, გამოვკვეთეთ მათი ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები. ვფიქრობ, უპრიანია, წარმოვაჩინოთ შედეგები დეტალური კვლევისა, რომელიც განხორციელდა საკუთრივ არაბული ენის მასალაზე. იმ მიზნით, რათა გამოკვეთილიყო ორი და ოთხთანხმოვნიანი რედუპლიცირებული ძირების ურთიერთმიმართების საკითხი არაბულში, მოძიებულ და გაანალიზებულ იქნა 349 ზმნური ძირი, რომელთა შორისაა: ა) ორთანხმოვნიანი გემინირებული ზმნური ძირი 214 ერთეულის ოდენობით; მათ შორის რედუპლიცირებული კორელატი არ ეძებნება 115 მათგანს, ხოლო 99-ს კი კორელატი მოეპოვება და ბ) ოთხთანხმოვნი რედუპლიცირებული -135 ერთეული; მათ შორის ორთანხმოვნიანი კორელატი არ მოეპოვება 36 მათგანს, ხოლო 99-ს კი მოეპოვება.

4.1. ძირთა ურთიერთმიმართების საკითხი არაბულში

⁴ იხ. მ. გოცირიძე, მ. მეფარიშვილი, 2018. იქვე, გვ. 33 და 36-37. მ. მეფარიშვილი, 2019, გვ. 243, 248.

როგორც შესავალშიც აღინიშნა, ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ორთანხმოვნისა და მათგან ფორმირებული რედუპლიცირებული ოთხთანხმოვნისა ზმნური ძირების ურთიერთმიმართების საკითხის გამოვლენა და დაზუსტება. მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა განხილული ძირები გადანაწილებულიყო სამ ჯგუფში აღნიშნულიყო მათი ზუსტი ოდენობა, კერძოდ:

1. გამოვლინდა გარკვეული ჯგუფი ორთანხმოვნისა ზმნური ძირებისა, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ, მათი რაოდენობა 115 ერთეულით განისაზღვრება. ამ ჯგუფს პირობითად შეიძლება პირველი ჯგუფი ვუწოდოთ, ხოლო მასში გაერთიანებულ ძირებს კი - „კენტი“ ორთანხმოვნისა.

2. გამოვლინდა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი რედუპლიცირებული ძირებისა, რომელთაც, პირიქით, არ მოეპოვებათ შესაბამისი ორთანხმოვნისა ძირები. მათი რიცხვი 36 ერთეულია, რაც არაბულში დადასტურებულ რედუპლიცირებულ ძირთა საერთო რაოდენობის 26% -ს შეადგენს. ამ ჯგუფს პირობითად შეიძლება მეორე ჯგუფი ვუწოდოთ, ხოლო მასში გაერთიანებულ ძირებს კი - „კენტი“ ოთხთანხმოვნისა რედუპლიცირებულები.

3. დაბოლოს, გამოვლინდა დიდი რაოდენობა წყვილებისა, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ორთანხმოვნისა, ასევე მათგან ფორმირებული რედუპლიცირებული ძირებით. ამ უკანასკნელთა რიცხვი რედუპლიცირებულთა საერთო რაოდენობის 74 % -ია; მესამე ჯგუფში შემავალ ძირებს პირობითად, კორელირებული „წყვილები“ შეიძლება ვუწოდოთ.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე და აღვნიშნოთ მათში შემავალ ძირთა სემანტიკური მახასიათებლები.

4.2. პირველი ჯგუფი

პირველ ჯგუფში შემავალი ორთანხმოვნისა ზმნური ძირები, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ (115 ერთეული), სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ჩამოვთვლით მხოლოდ რამოდენიმე მათგანს: btt, bdd, btt, rxx, rdd, rss, bxx, bzz, tff, tll, rmm, rnn, rkk, hnn, hzz, sff, sdd, srr, xff, xtt, xbb, xdd, štt, šnn, škk, šqq, zll, znn, 'qq, 'ff, ḡzz, ḡff, ḡtt, etc.

რედუპლიცირებული ძირებისაგან განსხვავებით ე.წ. „კენტი“ ორთანხმოვნისა ზმნების სემანტიკა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოვადგებთ რამოდენიმე მაგალითს: „დაკეტა, დახურა, დაგმანა“ (sdd), „შეაკეთა“ (zmm), „უკან დააბრუნა“ და „გააგდო, მოიშორა“ - (ნეიტრალური კონოტაციით) (rdd); „სუსტი იყო, დასუსტდა“ (rkk), „შემსუბუქდა, მსუბუქი იყო“ (xff), „ჩაიდირა“ (ḡtt), „დაღპა, დაჩირქდა“ (rmm), „დამჯერი, კეთილი იყო“ (brr), „გაახარა, გაამხიარულა“ (srr), „ურჩობდა, ჯიუტობდა“ (rqq), „უცოდველი იყო“ ('ff), „სურდა, მიილტვოდა“ (hnn), „ფეხი დაუცდა, გასრიალდა“ (zll), „იფურთხებოდა“ (tff), „გაიბნა, დაიფანტა“ (štt) და ა.შ. წარმოდგენილი მაგალითები შეიძლება დავახასიათოთ როგორც მდგომარეობის ამსახველი ან კიდევ არაძალისმიერი მოქმედების გამომხატველი, ძირითადად, ერთვალენტისა ზმნური ძირები. ამ ჯგუფში ბევრია ასევე ორვალენტისა - ირიბი O-ის გარეშე - არაძალისმიერი მოქმედების გამომხატველი ზმნური ძირებიც, მაგ., „გადაყლაპა“ (sff), „დაღვარა, დააქცია“ (šnn), „გააქუნა ცხენი“ (xbb), „გახაზა“ (xtt), „განაზავა, წყალი შეური“

(rxx), „მოხნა, ხნული გაავლო“ (xdd), „მიმოფანტა, მიმოაბნია, გაავრცელა“ (btt), „დაღვარა, გადმოღვარა“ (წიი), ამ ძირის მეორე მნიშვნელობა ონომატოპოეტურია: „ზუზუნებდა“.

ამ ჯგუფის ზმნებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დაისვას შეკითხვა: ე.წ. „კენტი“ ორთანხმოვნიანები არ გადმოსცემენ ინტენსივსა და ხმაბაძვით მნიშვნელობებს? ეგებ ამიტომაც არ აწარმოებენ რედუპლიცირებულ ძირებს? პასუხი უარყოფითია; საინტერესოა, რომ იძებნება საკმაო რაოდენობა ორთანხმოვნიანი „კენტი“ ძირებისა, რომლებიც ინტენსიურ, (ხშირად, ზედმეტად ენერგიულ, უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით შესრულებულ) მოქმედებას ან ონომატოპოეტურ ზმნურ მნიშვნელობებს შეესაბამებიან. ქვემოთ მოტანილი მაგალითები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს იმას, რომ გაუორმაგებული ორთანხმოვნიანები სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ზოგი მათგანი იწარმოებს რედუპლიცირებულ ვარიანტს, ზოგი კი ე.წ. „დუბლიკატის“ გარეშე რჩება. მაგ.,

ა. ონომატოპოეტური მნიშვნელობები: „ხვრინავდა“ (ჭტტ), „ზრიალებდა, ჟღრიალებდა“ (znn), „ხროტინებდა, ხვრინავდა“ (bxx), „ჟღარუნობდა, ხმაურს გამოსცემდა“ (rnn), „ხმაურობდა, გრუხუნებდა“ (წიი) და სხვ.

ბ. ინტენსივი, ენერგიული მოქმედების სემანტიკა: „გაანადგურა, დაანგრია“ (zll), „დაჭრა, დაჩეხა, მოჩეხა“ (hzz), „გაჩხვლიტა, წვეტი ჩაარჭო“ (škk), „გაყო, განაცალკევა“ (bdd), „გააპო, გახვრიტა“ (ჭzz), „გააპო, გაჭრა, გახეთქა“ (ჭqq), „გაჭყლიტა, დატყეპნა“ (rss), „მოჭრა, მოკვეთა“ (btt).

4.3. მეორე ჯგუფი

უადრესად საინტერესოა მეორე ჯგუფში შემავალი რედუპლიცირებული ოთხ-თანხმოვნიანები, რომელთაც არ მოეპოვებათ შესაბამისი ორთანხმოვნიანი ძირები, მათი რაოდენობა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა, კერძოდ, ესაა 36 ერთეული, რაც რედუპლიცირებულ ძირთა საერთო რაოდენობის 26% -ს შეადგენს. ამ ძირთა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ზემოაღნიშნულ 2 სემანტიკურ პლასტს შეესაბამება: ან ონომატოპოეტური ზმნებია, ან ინტენსიურ, ძლიერ, ენერგიულ მოქმედებას გადმოსცემს. მაგ., ა. ონომატოპოეტური ძირებია: „ხარხარებდა“ (h'h'), „გრუხუნებდა, გრგვინავდა“ (l'l), „კნაოდა“ (nwnw), „ბურღლუნებდა, ბუტბუტებდა“ (mhmh), „შიშინებდა, შიშინებდა ტაფა“ (tštš), „ბლაოდა, ზმუოდა ცხოველი“ (m'm'), „ბუზღუნებდა, ბურღუნებდა“ (thth), „გრუხუნებდა, ბრახუნობდა; ყვიროდა“ (ğ'ğ'), „ჭიჭიკებდა ჩიტი“ (sqsq), „წრიპინებდა“ (š'š'), „ყბედობდა“ (trtr), „ენაბლუობდა, ენაბრგვილობდა“ და სხვ. ამგვარი 17 ერთეული დასტურდება.

ბ. ინტენსიური მნიშვნელობების გამომხატველი ზმნური ძირები: „აყანყალებდა, აჯანჯლარებდა“ (z'z'), „გატეხა, დაამსხვრია“ (thth), „დანაყა, დაანაწევრა, დაანამცეცა“ (ksks), „ანჯღრევდა, აყანყალებდა“ (z'z'), „გადაწია, გადააადგილა“ (t't'), „არწევდა, არყევდა“ (dhdh), „თვალეხს აბრიალებდა, ატრიალებდა“ (r'r'), „დაანაწევრა, დაკუნა, დანაყა“, (dğdğ), „აურ-დაურია ერთმანეთში“ (mhmh), „გააგდო; სიქა, ქანცი გააძრო; გატანჯა; გამოფიტა; შეამცირა, შეაკავა“ (nhnh) და სხვ. ამგვარი 15 ერთეული დასტურდება.

აქვე დავძენთ, რომ არის კიდევ 6 ძირი, რომლებიც განსხვავებულ სემანტიკას ავლენენ. ეს მნიშვნელობები უმეტესად სითხესთანაა კავშირში: (s's') „დაასველა, სითხეში ჩააწო; ბ. წვენი მოასხა“, (sğsğ) „ცხიმი წაუსვა, ზეთი შეაზილა; ბ. დაასველა გაჟღინთა“, (sqsq) „დაასველა, გაჟღინთა“, აგრეთვე (zgzg) „დამალა“, (z'z')

„გაზარდა“ და (rǧrǧ) „მდიდრულად ცხოვრობდა“, V თ. კი „დატენიანდა, დასველდა“. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ ძირს რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს, ასევე ხშირია მათგან რეფლექსიური მე-5 თემის წარმოება. ერთსაც უნდა გაეხვას ხაზი: ზოგიერთ მათგანს ორი ან მეტი მნიშვნელობაც აქვს, რომელთაგან ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები ან ინტენსიური მნიშვნელობები ერთდროულად ფიქსირდება.

4.4. მესამე ჯგუფი

ასევე უაღრესად საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ მესამე ჯგუფი, რომელიც აერთიანებს დიდი რაოდენობით წყვილებს 99 ერთეულის ოდენობით, ისინი წარმოდგენილია როგორც ორთანხმოვნიანი, ასევე მათგან ფორმირებული რედუპლიცირებული ძირებით; ამ უკანასკნელთა რიცხვი რედუპლიცირებულთა საერთო რაოდენობის 74 % -ია; ეს წყვილები ავლენენ როგორც აბსოლუტურად იდენტურ, ისე მცირედ განსხვავებულ მნიშვნელობებს, ძალზედ ბევრია ონომატოპოეტური ზმნები, ისევე როგორც ინტენსიური მნიშვნელობების (ძალისმიერი, ენერგიული, ზოგჯერ ბრუტალურიც კი) გამომხატველი წყვილები. თუმცა რიც შემთხვევებში მკაფიო სემანტიკური კავშირების დადგენა-გამოვლენა ჭირს, რაც მომდევნო მუშაობას საჭიროებს, ვფიქრობ, საბოლოო დასკვნების გამოსატანად უნდა გაგრძელდეს საკვლევო ზმნური ძირების ნაწარმოები თემების, ასევე სალექსიკონო ბუდეში შემავალი სახელების მნიშვნელობათა ანალიზი და გათვალისწინება.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაანალიზებული წყვილები ავლენენ როგორც აბსოლუტურად იდენტურ, ისე მცირედ განსხვავებულ მნიშვნელობებს, რის საილუსტრაციოდაც წარმოვადგებთ სამ-სამ მაგალითს წყვილებისა, როგორც იდენტური, ასევე მცირედ სახეცვლილი სემანტიკით, კერძოდ, აქ არის:

ა. ორთანხმოვნიანი და რედუპლიცირებული ძირები იდენტური მნიშვნელობებით:

1. db | dbdb ა. dabba „აკაკუნებდა, აბრახუნებდა“ ბ. dabdaba „აკაკუნებდა, აბრახუნებდა“.

2. dn | dndn ა. dn „ზუზუნებდა, ბზუოდ“ dndn „ზუზუნებდა, ბზუოდ“

3. xn | xnxx ა. xanna „დააბიჯა, ფეხით გათელა“ ბ. xanxana „დააბიჯა, ფეხით გათელა“.

ბ. ორთანხმოვნიანი და რედუპლიცირებული ძირები მცირედ მოდიფიცირებული მნიშვნელობებით:

1. tx | txtx ა. taxxa „ამჟავდა“ ბ. taxtaxa „ამჟავდა, დაღპა, ჭია-ღუებით გაივსო“.

2. hk | hk hk ა. hakka „გახეხა, გაასუფთავა“ ბ. hakhaka „მძლავრად წმენდა, თავგამოდებით, მთელი ძალით ხეხავდა“.

3. bq | bq bq ა. baqqa „ყბედობდა, დაუჩერებლად ლაქლაქებდა“ ბ. baqbaba „ბუყბუყებდა“.

5. დასკვნა

ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება მოკლედ წარმოვადგინოთ რამოდენიმე ზოგადი ხასიათის დაკვირვება, კერძოდ, რედუპლიცირებული ზმნური ძირების ფორმირებისათვის გამოყენებული ორი ძირეული თანხმოვანი ფონემის გაორმაგების მოდელი ძალზე პროდუქტიულია არაბულში, მათი

რაოდენობა 135 ერთეულს აღწევს. საინტერესოა, რომ მათ მეოთხედს (36 ერთ.) არ მოეპოვება საწყისი ორთანხმოვნიანი კორელატი, თუმცა სამი მეოთხედი (99 ერთეული) წარმოდგენილია შესაბამისი წყვილის სახით, გაანალიზებული წყვილები ავლენენ როგორც აბსოლუტურად იდენტურ, ისე მცირედ განსხვავებულ მნიშვნელობებს. ორთანხმოვნიანი და რედუპლიცირებული ძირების სემანტიკური ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი: ორთანხმოვნიანი ძირები, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ, სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. რაც შეეხება რედუპლიცირებულ ძირებს. მათი უმრავლესობა ძირითადად ორ ვრცელ სემანტიკურ პლასტს მოიცავს, კერძოდ, ერთი ნაწილი ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემს, მეორე ნაწილი კი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური ზმნებია.

გამოყენებული ლიტერატურა- References:

1. გოცირიძე მ., მეფარიშვილი მ., „შენიშვნები სემიტური ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების თაობაზე.“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XI. თბილისი: ილიას სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
2. გოცირიძე, მ. „ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების ძირითადი ტიპები თანამედროვე ებრაულ ენაში.“ *ორიენტალისტური ძიებანი*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
3. მეფარიშვილი, მ. „მრავალთანხმოვნიანი ზმნური ძირები სემიტურში.“ *საიუბილეო კრებული „აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე - 90“*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.
4. Biberstein-Kazimirski, A. *Dictionnaire arabe-français*. Paris, 1860.
5. Heidel, A. *The System of the Quadriliteral Verb in Akkadian*. Chicago: University of Chicago Press, 1940.
6. Johnstone, T.M. *Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List*. London, New York: Oxford University Press. 1077.
7. Littmann, E. & Hoffner, M. *Worterbuch der Tigre-Sprache*. Wiesbaden, 1962.
8. Wehr, H. A. *Dictionary of Modern Written Arabic*. Edited by Milton Cowan. New York: Munster Ithaca, 1076.
9. Weil, G. E. "Un Essai d'Analyse Quantifiée. Triliteralite Fonctionnelle ou Biliteralite Fondamentale. Des Racines Verbales Hébraïques." *Revue d'Histoire et de Philosophie Religieuses*, №3-4, Strasbourg, 1979.
10. Баранов Х. К. *Арабско-русский словарь*. Москва: «Советская Энциклопедия», 1970.
11. Гранде, Б. М. *Введение в сравнительное изучение семитских языков*. Москва: «Восточная литература» РАН. 1972.
12. Малыгина, Л. В. "Четырёхбуквенность, как средство выражения интенсивности у удвоенных глаголов в семитских языках." *Уч. зап. ЛГУ, №374, серия востоков. наук*, вып. 17, Л., 1974.